THE REMAINS OF THE "KVABIJVARI" AND "VALISONI" CHURCHES ACCORDING TO THE "LIFE OF SAINT SERAPION OF ZARZMELI"

„ქვაბიჯვარის“ და „ვალისონის “ ეკლესიის ნაშთები „წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით[1]

DALI BETKHOSHVILI
Doctor of Philology, Associate Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Georgia, Akhaltsikhe,
betkhoshvili68@gmail.com, 555 48-81 29
https://orcid.org/0000-0001-6947-160X

Abstract

An important place in the history of Georgian spiritual culture belongs to Basil Zarzmeli's monument "The Life of Saint Serapion Zarzmeli", which reflected the historical memory of the country, demonstrated the spiritual and material prosperity of Samtskhe with the establishment of Christian churches and monasteries, which reflected the historical, social, geographical, and cultural values of the country, which determined the advancement and development of Georgia, not only nationally, but also within the context of the global Christian and historical space.

In the ninth-tenth century Georgia, in the Samtskhe region, the main mission of Saint Serapion and his spiritual brothers was expressed in the establishment of spiritual centers, of which the work discusses the “Kvabijvari” and “Valisoni” churches, which are understood as existing precisely within the scope of the activity of Saint Serapion and his spiritual companions, who clearly defined the promotion of Samtskhe in the common national-Christian area. It is precisely within the scope of the activity of Saint Serapion Zarzmeli and his spiritual brothers that we should place the churches in Samtskhe, namely in the Adigeni municipality - Kvabijvari and Valisoni, which have survived today in the form of remains, but which well inform us about their geographical location, architectural style, spiritual value and mission in the global religious thought context.

The remains of the Kvabijvari and Valisoni churches are geographically located in such places that next to them is the central connecting road to Samtskhe, Adjara mainly, through which there is a connection to Turkey and partially to Imereti; they are crossed by the main river - Kvabliani, which completes the historical significance of this place... The monuments are multifaceted: religious and secular, carrying an advanced administrative and strategic significance.

The Life of Serapion Zarzmeli, by the tenth-century Georgian hagiographer Basil Zarzmeli, is the best source for studying the history, geography, and construction of churches and monasteries of Samtskhe. The data of the text itself makes it clear that the Zarzma Church alone could not have been

[1] საკითხი მცირედაა შესწავლილი და ძირითადად ჩემეული კვლევაა წარმოდგენილი; იბეჭდება შემოკლებით.

the place of activity of such a great spiritual figure, it goes on a much larger and larger scale, covers a fairly large area geographically and geopolitically, and creates a single spiritual center in this region. We should place the churches of Kvabijvari and Valisoni in Samtskhe, specifically in the Adigeni municipality, in the place of activity of Saint Serapion Zarzmeli and his spiritual brothers, which have survived today in the form of remains, but they provide us with a good idea of their geographical location, construction style, and spiritual purpose... Certain data from the text of Basil Zarzmeli's "Life of Serapion Zarzmeli" lead us to assume that the history of their establishment is connected precisely with the spiritual life of Serapion Zarzmeli.

Key words: Kvabijvari Church, Valisoni Church, Adigeni, Andrew the First-Called, Serapion of Zarzma, spiritual mission, thirteen Assyrian fathers, Zarzma.

დალი ბეთხოშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ახალციხე,
betkhoshvili68@gmail.com ,555 48-81 29
https://orcid.org/0000-0001-6947-160X

აბსტრაქტი

ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ბასილ ზარზმელის „წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ძეგლს, რომელმაც ასახა ქვეყნის ისტორიული მეხსიერება, წარმოაჩინა სამცხეში სულიერ-მატერიალური აღმავლობა ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების დაფუძნებით, რაშიც აისახა ქვეყნის ისტორიული, სოციალური, გეოგრაფიული, კულტურული ღირებულებები, რამაც განსაზღვრა საქართველოს დაწინაურება და განვითარება, არა მარტო ეროვნულ, არამედ მსოფლიო ქრისტიანული და ისტორიული სივრცის კონტექსტის ფარგლებშიც.

მეცხრე-მეათე საუკუნის საქართველოში, სამცხის რეგიონში წმიდა სერაპიონის და მისი სულიერი ძმების მთავარი მისია გამოიხატა სულიერი კერების დაფუძნებაში, რომელთაგან ნაშრომში განხილულია „ქვაბიჯვარის“ და „ვალისონის“ ნაეკლესიარები, რომელნიც გააზრებულია სწორედ წმიდა სერაპიონის და მისი სულიერი თანამოსაგრეების სამოღვაწეო სივრცის ფარგლებში არსებული, რომელთაც მკაფიოდ განსაზღვრეს სამცხის დაწინაურება საერთო ეროვნულ-ქრისტიანულ არეალში. სწორედ წმიდა სერაპიონ ზარზმელის და მისი სულიერი ძმების სამოღვაწეო სივრცეში უნდა განვათავსოთ სამცხეში, კერძოდ ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული ნაეკლესიარები - ქვაბიჯვარისა და ვალისონის, რომლებიც დღეს ნაშთის სახითაა შემორჩენილი, მაგრამ კარგად გვამცნობს მათ გეოგრაფიულ მდებარეობას, აგების სტილს, სულიერ ღირებულებას და მისიას გლობალურ რელიგიურ სააზროვნო კონტექსტში.

ქვაბიჯვარის და ვალისონის ეკლესიის ნაშთები გეოგრაფიულად ისეთ ადგილებზეა დაფუძნებული, რომ მათ გვერდით არის ცენტრალური დამაკავშირებელი გზა სამცხისა,

აჭარისა ძირითადად, რომლის მეშვეობით ხდება დაკავშირება თურქეთთან და იმერეთისაკენ ნაწილობრივ; მათ ჩამოუდის მთავარი მდინარე _ ქვაბლიანი, რომელიც სრულყოფს ამ ადგილის ისტორიულ მნიშვნელობას... ძეგლები მრავალმხრივი დანიშნულების მატარებელნი არიან: სასულიერო და საერო, დაწინაურებული ადმინისტრაციული და სტრატეგიული ნიშნის მატარებელი.

მეათე საუკუნის ქართველი ჰაგიოგრაფის ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ საუკეთესო წყაროა სამცხის ისტორიული, გეოგრაფიის და ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობის თვალსაზრისით შესწავლისათვის. თვითონ ტექსტის მონაცემები ცხადყოფს, რომ მარტო ზარზმის ეკლესია ვერ იქნებოდა ასეთი დიდი სულიერი მოღვაწის სამოღვაწეო სივრცე, ეს უფრო ვრცელ და დიდ მასშტაბებზე გადის, მოიცავს გეოგრაფიულად და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ დიდ არეალს და ქმნის ერთ მთლიან სულიერ კერას ამ რეგიონში.წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების და მისი სულიერი ძმების სამოღვაწეო სივრცეში უნდა განვათავსოთ სამცხეში, კერძოდ ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული ნაეკლესიარები - ქვაბიჯვარისა და ვალისონის, რომლებიც დღეს ნაშთის სახითაა შემორჩენილი, მაგრამ კარგად გვამცნობს მათ გეოგრაფიულ მდებარეობას, აგების სტილს, მათ სულიერ დანიშნულებას... ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტის გარკვეული მონაცემები გვავარაუდებინებს, რომ მათი დაარსების ისტორია სწორედ სერაპიონ ზარზმელის სულიერ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

საკვანძო სიტყვები: ქვაბიჯვრის ეკლესია, ვალისონის ეკლესია, ადიგენი, ანდრია პირველწოდებული, სერაპიონ ზარზმელი, სულიერი მისია, ცამეტი ასურელი მამა, ზარზმა.

შესავალი: ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბასილ ზარზმელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას „წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელშიც წარმოჩნდა მეცხრე-მეათე საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული ვითარება, რაც გამოვლინდა გეოგრაფიულად სტრატეგიული რეგიონის, სამცხის სულიერ-მატერიალური აღმავლობის ფონზე. აღნიშნული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები წარმოაჩენს სამცხეში, კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ სივრცეში დაფუძნებული ქრისტიანული კერების, კერძოდ, ეკლესია-მონასტრების არსებობას, რამაც განსაზღვრა ამ მხარის და მთლიანი სამცხის ისტორიულ-კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბება, ამ პროცესმა კი გამოიწვია ერთიანი საქართველოს, მაშინდელი ქართლის, დაწინაურება და ჩართვა ერთიან ეროვნულ და გლობალურ ისტორიულ სააზროვნო სივრცეში.

წმიდა სერაპიონ ზარზმელის და მისი სულიერი ძმების სამოღვაწეო სივრცეში უნდა განვათავსოთ სამცხეში, კერძოდ ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული ნაეკლესიარები - ქვაბიჯვარისა და ვალისონის, რომლებიც დღეს ნაშთის სახითაა შემორჩენილი, მაგრამ კარგად გვამცნობს მათი გეოგრაფიული მდებარეობის სტრატეგიულ დანიშნულებას, აგების სტილს, სულიერ ღირებულებას და მისიას ქვეყნის ერთიანი ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში.

მეთოდი: ნაშრომში კვლევისთვის გამოყენებულია შედარებით-ისტორიული, ანალიზის და ჰერმენევტიკის მეთოდები. აღნიშნული მეთოდები უკეთ წარმოაჩენს

კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებს და მის როლს საერთო კულტურული სივრცის გააზრებისათვის.

მსჯელობა და შედეგები: წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ასეთ ჭრილში განხილვა წარმოაჩენს პრობლემის არსს, წარსული და დღევანდელი ეპოქის ღრმა სულიერ და ეროვნულ სულისკვეთებას, აგრეთვე იკვეთება ისიც, რომ ქართულ ეროვნულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის აზროვნების სივრცეში.

მეცხრე-მეათე საუკუნის საქართველოში, სამცხის რეგიონში, კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ არეალში ეკლესია-მონასტრების დაფუძნება დაკავშირებულია წმიდა სერაპიონ ზარზმელის და მისი სულიერი ძმების დაუცხრომელ ღვაწლთან, რაც განისაზღვრა ღმერთის ჩვენებითა და უწყებით, ისინი მოთავეობენ სულიერი ქრისტიანული კერების ჩამოყალიბებას. წმიდა მამა სერაპიონი, რომელიც სამცხეში მოვიდა კლარჯეთის მხრიდან, უტყვი, უსიცოცხლო ქვეყანა სამცხის ადგილი უნდა გაეცოცხლებინა, განეახლებინა ქრისტიანული სულის მოფენისა და დამკვიდრების საფუძველზე.

წმიდა სერაპიონ ზარზმელის და მისი სულიერი თანამოსაგრეების აღმშენებლობითი საქმიანობა გამოძახილია ბიბლიური სიბრძნისა: „შენთვის მოვსწყდებით ჩუენ მარადღე“ (ფს. 43, 22), რომელიც ეხმიანება ახალ აღთქმაში გაცხადებულ სიბრძნეს: „მარადღე ქრისტესთვის მოვკუდები“ (ჰრომ. 8, 36) (აღთქმა, 2009).

სამცხის სულიერი წინამძღვრის წმიდა სერაპიონის და მისი ძმების სულიერი ღვაწლით წარმოჩნდა ღმერთისა და ადამიანის, ზეციურისა და ამქვეყნიურის ერთმთლიანობა და განუყოფლობა. „მათი სამისიონერო გზა ღვთის ტაძრის ფუნქციის აღმსრულებელია ამქვეყნად. ისინი არიან იმ გზის გამგრძელებლები, რასაც საფუძველი ეყრება წინარე საუკუნეებში, კერძოდ, მეექვსე საუკუნიდან, როდესაც საქართველოში შემოვიდა წმიდა ათცამეტი ასურელი მამა, ისინი გაიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანული კულტურის კერების დასაფუძნებლად, მათ ააშენეს და დაამკვიდრეს ეკლესია-მონასტრები, რომელთა დაფუძნებამ განსაზღვრა მთელი მასშტაბით ქვეყანაში ქრისტიანული სულის დამკვიდრება, ქვეყნის ისტორიული ცნობიერების ჩამოყალიბება... წმიდა სერაპიონი და მისი თანმხლები თანამოღვაწე სულიერი ძმები სწორედ ზემოაღნიშნული მისიის გამგრძელებლებად არიან დასახული, ისინი აფართოებენ სულიერ სამოღვაწეო სივრცეს, ამკვიდრებენ და ამტკიცებენ ქრისტიანულ რწმენას...“ (ბეთხოშვილი, 2026, გვ. 158).

ბასილ ზარზმელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც უტყუარ ცნობებს გვაწვდის სამცხის, კერძოდ, ადიგენის მხარის გეოგრაფიის, სულიერ-მატერიალური ცხოვრების შესახებ, ვეცნობით, რომ სამცხის მთავარი გიორგი ჩორჩანელი მოუწოდებს თავის ჭაბუკს, გაჰყოლოდა სულიერ მამებს და დილიდან საღამომდე რა ადგილებსაც შემოსაზღვრავდნენ, მათთვის მიეცა ქრისტიანული კერების დასაფუძნებლად. ტექსტში ვკითხულობთ: „რამეთუ გან-რაჲ-ათიეს ღამჱ იგი და მზჱ აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდაჲ იგი და ძმაჲ მისი იოვანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელსა რიცხჳ ექუს იყო, და წარემართნეს ჭაბუკისა მის თანა სამნი და სამნი დაეტევნეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასავალით-კერძო და, ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა“) (ზარზმელი, 1946, გვ. 91).

ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი გუეტყოდა: „წმიდანო ღმრთისანო, საჲთ გნებავს სლვაჲ? ხოლო ჩუენ გუენება, რაჲთა გარეშეწერით შემოვლოთ სიმგრგულჱ მათ ადგილთაჲ, ვინაჲ პირი სამხრით ვიქციეთ თანააღყოლად ერთისა მის მდინარისასა“ (ბასილ ზარზმელი, 1946: 92).

როგორც ვხედავთ, მათი სამოღვაწეო სივრცე ძალიან დიდია და სამცხის უდაბნოს სულიერი მოძღვრის სერაპიონ ზარზმელის სულიერი მისია მარტო მოქმედი ზარზმის მონასტრით არ ამოიწურება, ჟამთასვლის გამო ნახევრად განადგურებული და შემორჩენილი ეკლესიის ნაშთები წმიდა სერაპიონის მისიის გაგრძელება და სრულყოფაა.

ქვაბიჯვარი _ ნასოფლარი (შუა სს.) ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა ადიგენიდან 21-22 კლმ. მანძილზე. ქვაბიჯვარის ეკლესიის ძველი ნაშთი სამნავიანი ბაზილიკაა, წმიდა ჯვრის სახელობისა, იმიტომ, რომ, გადმოცემით, როდესაც აქ მოსულა ანდრია პირველწოდებული, ამ ადგილას ჯვარი აღუმართავს პირველივე საუკუნეში. სავარაუდოდ, სერაპიონის ძმა იოანე რომ განერიდება სერაპიონს ცალკე სამოღვაწეოდ ახალი ეკლესიის ასაშენებლად, დამოუკიდებლად, სწორედ იოანეს ღვაწლის შედეგი უნდა იყოს ქვაბიჯვარის ეკლესიის დაფუძნებაც. ახალი ეკლესია კი წმიდა ნიკოლოზის სახელობისაა.

„საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ქრონოლოგიურად ერთ-ერთ პირველ არქიტექტურულ ტიპს წარმოადგენს სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის აღიარების კვალდაკვალ გავრცელდა“) (ჯაბუა, 2009, გვ. 5)

ბაზილიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბაზილევსის ანუ მეფის სახლს (ჯაბუა, 2009, გვ. 19)

ქვაბიჯვარის ძველი ეკლესია შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლების სიას მიეკუთვნება და ძეგლი ამ პერიოდის საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშადაა მიჩნეული. ამის დამადასტურებელია ჯერ კიდევ დევი ბერძენიშვილის ფოტოკოლექციაში ქვაბიჯვარის ჩუქურთმიანი ქვა ბარელიეფზე (ბერძენიშვილი, 1989), ჩემი დაკვირვებით და შესწავლით, დღესაც გამოკვეთილია და თვალსაჩინო, რომელიც კარგად ასახავს ძეგლის სტრუქტურაში არსებული ჩუქურთმების ხასიათს და დროს.

ქვაბიჯვარი მნიშვნელოვანი სტრატეგიულ-ადმინისტრაციული ადგილია, სოფელ კიკიბოს ციხესთან და, საერთოდ, ამ მხარის სხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან ერთად: ციხისუბნის და აფიეთის ციხეები (აფიეთში ორი ციხე იყო, დღეს ნანგრევებია შემორჩენილი), ღაღვისწყლის ეკლესიები და ციხე-კოშკები, ზედუბნის და ღორთუბნის ნაეკლესიარები, მოხის ნაეკლესიარი, ჭეჭლის ნაეკლესიარი და ციხე-კოშკი, რა თქმა უნდა, ზარზმის მონასტერი, არზნის ნაეკლსიარი და სხვ.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. დერცელთან, სოფ. კიკიბოსკენ მიმავალ გზაზე, მარცხნივ, მდინარე ქვაბლიანის მარცხნივ სანაპიროზე, შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი, რომელიც მის სიძველეზე მეტყველებს; ქვაბიჯვარის ეკლესია თავისი მამულებით და მიწებით საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი (დაახლ. 8 ჰექტარი გარშემოწერილობით); გეოგრაფიულად იგი მდებარეობს „ქვაბში“, ჩავარდნილ ადგილას, ოთხივე მხრიდან ძალიან მაღალი მთების გარემოცვაში, შუაში მოქცეულ მინდორზე, მაგრამ თვით ეკლესიის ნაშთი ამ ველის ცენტრში, შუაში არსებულ ოდნავ შემაღლებულ ბორცვზეა დაფუძნებული, ამ სიმაღლიდან ეკლესია მთლიანად აკონტროლებს, თუ შეიძლება ასე გავიაზროთ, მთელ ქვაბიჯვარს, ამ გაშლილი გეოგრაფიული არეალის სივრცეს და მის საზღვრებს. სამხრეთ-

აღმოსავლეთი სამცხეა, ჩრდილო-დასავლეთით _ აჭარა _თურქეთი და ნაწილობრივ იმერეთისკენ გადასასვლელი.

ქვაბიჯვარის ეკლესიას ოთხივე მხრიდან ზღუდესავით აკრავს მაღალი კლდოვანი მასივები, ტყეები, ეკლესიასთან მხოლოდ ერთი მხრიდანაა მისასვლელი, სოფ. დერცლიდან მიდის გზა, ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეკლესიიდან მაღლა ცისკენ რომ აიხედავ, მხოლოდ შუაში ჩანს დავიწროვებული ცის სივრცე (ზემოთ აღვნიშნე, რომ ქვაბის მსგავსი ადგილია ქვაბიჯვარი), რომელიც შესაკრებელივითაა, სადაც მეტად გაიგონება ადამიანის სავედრებელი ლოცვა. სამხრეთით ასევე ჩამოუდის მთლიანად ქვაბლიანის ხევი, სადაც მოედინება მდინარე „ქვაბლიანი“. ეს რეგიონი ხომ ქვაბლიანის ხეობას მიეკუთვნება, განსაკუთრებული სანახაობებით და განუმეორებლობით. ეკლესიის ასეთ ადგილას დაფუძნება განაცხადია იმისა, რომ აღმშენებელ სულიერ მოღვაწეს ეჩვენებინა და გაემართლებინა ეკლესიის სულიერი მისია _ მისი ზეაღმავალი ხასიათი, ღვთაებრივი ბუნება და ძალმოსილება, ზეციური მადლის უპირატესობა წუთისოფელში და, რაც მთავარია, პრეტენზია ამ კუთხის ქრისტიანული მისიით დაწინაურებისა.

ქვაბიჯვარის ეკლესიის მდებარეობა ქვაბში გვაფიქრებინებს მის განსაკუთრებულ, დაფარულ და უხილავ შინაარს, როგორც ღმერთის წიაღია უხილველი და შეუცნობელი, რომელიც მეტად აფიქრებს ამ ქვეყნად, წუთისოფელში მყოფს, ახილვებინებს კავშირს მიწიერსა და ღვთაებრივს შორის, ეს კავშირი, ერთობა, მისი მისია, ასეთ სივრცეში განფენილი ეკლესიისა, წარმავალ მიწიერზე ზეამაღლებული და განსხვავებულია, ისეთი, რომელიც „ქვაბის“ იქით არ იხილვება და მის საზღვრებს მიღმა ეკლესიის ღვთაებრივი არსი შორეული, განსაკუთრებული და მიუწვდომელია.

ქვაბიჯვარის ეკლესიის სახელწოდება სათავეს უნდა იღებდეს მისი გეოგრაფიული ადგილის სპეციფიკიდან „ქვაბი“, რომელიც განსაკუთრებული შინაარსის მატარებელია _ მხოლოდ იქ არის და სხვაგან არსად, და აგრეთვე სახელწოდების მეორე ნაწილის _ „ჯვრის“ სულიერი არსიდან. ჯვარი ქრისტიანული კულტურის, ქრისტიანული აზროვნების სიმბოლოა, რომელიც ერთად ითავსებს მატერიალურსა და ზეციურს, ადამიანურსა და ღვთაებრივს, რომელსაც ვაიგივებთ იესო ქრისტეს ჯვარცმასთან, ტანჯვასთან, შეუდრეკელობასთან, სიკვდილთან და სიცოცხლესთან, წამებასთან, რომელმაც საფუძველი დაუდო მარადიულ, უკვდავ სულიერ ცხოვრებას, კვლავ აღდგომასა და სიცოცხლის განგრძობას; სწორედ ეს მისია გრძელდება დღეს ქვაბიჯვარის ეკლესიის კვლავ ჩინებით და მისი გაცოცხლებით, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა; ჯვარი ასახავს იმ შეჭირვებულ გზას, რაც სულიერმა მამებმა გაკვალეს ამ უქმ უდაბნოში... ჯვარი ეკლესიის დასახელებაში იმიტომ დომინირებს, რომ სულიერი ცხოვრება უპირატესად გაიაზრება წარმავლობაზე, მოკვდავობაზე და მარადიულობის განცდას კიდევ უფრო აღრმავებს და ამაგრებს ქრისტიანულ აზროვნებაში.

გადმოცემით, ანდრია პირველწოდებული როდესაც შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად, იგი სამცხეში შემოვიდა აჭარის მხრიდან და აქიდან უთუოდ მოხვდებოდა ამ ადგილას, სადაც ქვაბიჯვარის ეკლესია არის დაფუძნებული. აღნიშნული ადგილი სწორედ აჭარის და სამცხის, შეიძლება ითქვას, საზღვარზეა, ანდრია მოციქულს ამ ადგილას გაუკეთებია ქრისტიანობის დასამკვიდრებლად ნიში-ჯვარი, რომელიც შემდეგში იქცა ეკლესიის სახელწოდებად; შევნიშნავ იმასაც, რომ, თუმცა ეკლესიის

აღმშენებლობა პირველ საუკუნეებში აღნიშნულ სივრცეში ნაკლებად სავარაუდებელია, რადგან ეკლესია-მონასტრები საქართველოში ფუძნდება მე-6 საუკუნიდან, როდესაც საქართველოში შემოდის 13 ასურელი მამა, სირიელი მამები იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით, ისინი განიფანტებიან, განცალკევდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკლესია-მონასტრების აშენებისა და დაფუძნებისათვის, რათა ფართოდ გავრცელდეს ქრისტიანული სარწმუნოება, რომელმაც უდიდესი კულტურა შექმნა საქართველოში; რა თქმა უნდა, მათ მისიონერულ ღვაწლს ხელი შეუწყო წმინდა ნინოს მიერ IV საუკუნეში რელიგიის სახელმწიფოებრივ დონეზე ამაღლებამ, რამაც შემდეგში სრულყო ქრისტიანული რწმენის, მისი მსოფლმხედველობის საფუძვლები სახელმწიფოებრივ აზროვნებაში. წმიდა სერაპიონის სულიერი მოღვაწეობის პერიოდში კი, როგორც ვხედავთ, ყოველგვარი საფუძველია მომზადებული ფართო საეკლესიო ცხოვრების გაშლისა და განვითარებისათვის.

ვფიქრობ, ანდრია პირველწოდებულის მიერ სამცხის ზემოხსენებულ ტერიტორიაზე ჯვრის აღმართვას შემდეგში მოჰყვა ჯერ მცირე ეკლესიის აშენება, რომლის შემორჩენილი ნაშთი უნდა იყოს დღეს ქვაბიჯვარის ეკლესიის გვერდით, უშუალოდ აღმოსავლეთ-ჩრდილო ნაწილში, თითქოს საერთო კედელია აღმოსავლეთ ნაწილში, ისეა ერთმანეთთან შერწყმული, მცირედი ზომის სამლოცველოს ტიპისა (სურათი, 2), რომელიც არქიტექტურითაც ამ პერიოდის, ქვაბიჯვარის ტიპისაა, ასევე ქვაბის მსგავსია და მდებარეობითაც სრულიად განსხვავებულია. ძირითადი ეკლესიის გვერდით არსებული ოთახი, შედარებით სიღრმეშია, ეკლესიის მხრიდან ბორცვის შემაღლებულ ადგილას, ქვეშ უფრო მიწაშია გამოკვეთილი. შესაძლებელია სამლოცველოსთან ერთად გვირაბიც იყო, მაგრამ დღეს მიწითაა ამოვსებული. გვირაბი, არსებობის შემთხვევაში, იქნებოდა დამაკავშირებელი შემდეგში მცირე ეკლესიასთან და არაა უსაფუძვლო კიკიბოს ციხესა და ვალისონის ეკლესიასთანაც.

აღმოსავლეთის მხრიდან თაღოვანი შესასვლელი ჩანს, დასავლეთის მხრიდანაც თაღია, მაგრამ უფრო მიწის სიღრმეშია და ეს შესასვლელი არ არის; სავარაუდოდ, აღმოსავლეთის მხრიდან შესასვლელი არ იქნებოდა, შემდეგ ჩამოინგრა კედელი და გახდა შესასვლელი, ან შეიძლება სხვა დანიშნულება ექნებოდა, მაგალითად, ეგვტერი / ეკვდერი, სადგომი, უფრო მეტად მგონია იყოს ერთი ბერის, მლოცველის მკაცრად განსამარტოებელი სამლოცველო, რომელსაც მხოლოდ ერთი პატარა სარკმელი ექნებოდა წუთისოფელთან დამაკავშირებელი. ეს პატარა სამლოცველო დიდი, ოთხკუთხა, სქელი, თლილი ქვებისაგანაა ნაშენი, უშუალოდ ეკლესია კი თითქოს კუთხედად დამუშავებული ქვებისაგან. დღეს მცირე სამლოცველოში, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება სამალავიც იყო, მაგრამ უფრო მგონია, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, განსამარტოებელი სამლოცველო რაიმე გასაჭირის დროს ლოცვების წარსათქმელად. სტრუქტურით მცირე სამლოცველო წრიული ფორმისაა, მრგვალი შეხედულების, შიგნით კედლები ზოგან შავადაა შეფერილი, თითქოს მურითაა დაფარული, ასეთი ვერ იქნებოდა დაარსებიდან, შესაძლებელია, საბჭოთა ეპოქაში იქ ცეცხლსაც ანთებდნენ; დღეს აქაც შედიან ადამიანები და ანთებენ სანთელს; საკურთხეველთან ახლოს ორივე მხარეს, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, უფრო ჩრდილოეთით მცირე სამლოცველოს საერთო კედელთან შიგნით, კარგადაა შემორჩენილი ამ ტეხილი ქვებისაგან განსხვავებული ოთხკუთხა, რამდენიმე თლილი ბრტყელი ქვა, ოდნავ გამოშვერილი, თითქოს დაფა, რაც, სავარაუდოდ, იქნებოდა ხატის ან სხვა რომელიმე სიწმინდის დასავანებელი.

აგრეთვე, ამ სამლოცველოს მღვიმის ფორმაც აქვს, მის მსგავს შთაბეჭდილებას სტოვებს. არაა საფუძველს მოკლებული, განმარტოებული ბერი უშუალოდ ეკლესიის აშენებამდე სწორედ აქ ცხოვრობდა.

საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი ქვაბიჯვარის მთავარი ეკლესიის ნაშთის საკურთხეველი (სურათი 1) მისი აღნაგობა და ასევე შედარებით შემორჩენილია დასავლეთი შესასვლელი, თაღოვანი კარით. სამხრეთი და ჩრდილო კედლებიდან მხოლოდ მცირეა შემორჩენილი, თუმცა ჩრდილოეთის მხარე უფრო ნათელ სურათს ქმნის, ეკლესიის შუა ნაწილში რომ მოხვდე, ჩრდილოეთიდან რამდენიმე საფეხურით უნდა ჩახვიდე მიწაში, საკმაოდ ღრმად და შემდეგ არის ამართული; სიმაღლის თვალსაზრისით, აღმოსავლეთი ნაწილის ნაშთი გვავარაუდებინებს, რომ ეკლესია მაღალი იქნებოდა, რადგან გეოგრაფიულად ამ ქვაბში უფრო გამოეხატა თავისი მისია _ სულიერიც და მომხდურისთვისაც ყოფილიყო განაცხადი ამ არეალის სიმტკიცის, შეუვალობისა და შეუდრეკელობისა.

ქვაბიჯვარის ეკლესიის კედლები, დღეს, ჟამთა ვითარების გამო, დასუსტებულია, ხელი მოვკიდე სამხრეთის კედლის ნაშთს და ქვამ ნამსხვრევების სახით ცვენა დაიწყო.

ოსმალური წყაროს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (XVI ს.) მიხედვით, ქვაბიჯვარი სოფელი იყო და ექვემდებარებოდა უდეს (ჯიქია, 1941, გვ. 94). აღვნიშნავ, რომ სოფელი იყო აქ მე-20 საუკუნის ბოლომდე. საბჭოთა ეპოქაში აქ ცხოვრობდნენ იმერლებიც, რაჭველებიც და შემდეგ, ძირითადად, აჭარლები. ბოლოს მხოლოდ აჭარელი ოჯახები იყვნენ. ვიცი რამდენიმე აჭარული ოჯახი აქიდან გადმოსახლდა უფრო ბარის სოფ საირმეში; გეოგრაფიული მდებარეობით, ქვაბიჯვარი განთავსებულია ორი სოფლის შუაში: სოფ. დერცელი, რომელიც უნდა გავიაროთ, შემდეგ აქიდან 1, 5 კლმ.-ზე არის ქვაბიჯვარი და შემდეგ 1 კლმ.-ზე სოფ. კიკიბო, რომელიც ასევე სტრატეგიული ადგილია, სადაც არის ნაეკლესიარიც და ციხეც. კიკიბოს ციხე[2], რომელიც შემორჩენილია დღესაც, თავისებური არქიტექტურით და განსხვავებული სტრუქტურით გამოირჩევა, გეგმა, აგების სტილი განსხვავებულია, რომელიც მის განსაკუთრებულ დანიშნულებას გამოკვეთს, რადგან ქვაბიჯვართან ერთად კიკიბოც ადმინისტრაციულად იმყოფება სამცხის, აჭარა-თურქეთის, იმერეთის...გეოპოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვან გზაგასაყარზე; კიკიბოს ციხე და ქვაბიჯვარის ეკლესია ერთმანეთს უყურებს და ავსებს, კიკიბოს ციხე ეკლესიისთვის იქნებოდა ერთ-ერთი მაკონტრელებელი წერტილი იქ არსებული ან მოახლოებული საფრთხის შესახებ. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია განისაზღვროს ამ ტერიტორიებზე ეკლესიების, როგორც სულიერი კერებისა და საინფორმაციო, სამხედრო-თავდაცვითი ფუნქციის აღმსრულებელი ციხეების აგება, რომელიც თავისი შინაარსით არაერთგვაროვანია და სტრატეგიული დანიშნულებით მეტად მნიშვნელოვანი.

ქვაბიჯვარის ეკლესიის გარე სივრცე, როგორც დასაწყისშიც აღვნიშნე, საკმაოდ დიდ ფართობზეა გადაშლილი. ამ სივრცეში მოიაზრება გარეშემო ოთხივე მხრიდან არსებული ტყეები, კლდის მასივები, მდინარე ქვაბლიანი, ველ-მინდვრები, სახნავი მიწები; დღესაც ეკლესიის კუთვნილი სივრცე შემოსაზღვრულია, ძველის ნაცვლად, ახალი გალავანი უკეთდება, რომელიც ჯერ დასრულებული არ არის. ძველი გალავანი, ჩანს, უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით, მისასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან, რასაც გვიდასტურებს იქ არსებული

[2] კიკიბოს ციხის კვლევა ცალკე იქნება წარმოდგენილი.

საფლავები, უძველესი ბერთა საძვალე, რომელიც მიანიშნებს გალავნის დაწყების და დამთავრების საზღვარს. აღვნიშნავ, რომ თითოეული საფლავი მეტყველად, გამოკვეთილად ჩანს, ბრტყელი თლილი ქვებით, გვერდითა და თავის მხრის უფრო მაღალი ქვები; აქვე შევნიშნავ, რომ, გარდა ქვაბიჯვარისა, ამ რეგიონის მასშტაბით, ასეთი ბერთა საძვალე, კარგად გამოკვეთილი ჩანს სოფ. არზნის ნაეკლესიარის გვერდით (ცალკე კვლევა მაქვს _ დ. ბ.). ქვაბიჯვარის ნაეკლესიარის შემოსაზღვრული ადგილი ნათელ წარმოდგენას იძლევა მისი ტერიტორიის გეოგრაფიულ ხასიათს; ეკლესიამდე მისასვლელი გზა არის სოფ. დერცლიდან ჩრდილოეთის მხრიდან, სწორედ ამ გზის შესასვლელში, მარჯვნივ საკმაოდ მოზრდილ ფართობზე აღნიშნული ბერთა საძვალეა შემორჩენილი. ჩნდება კითხვა: რატომ მისასვლელი გზის შესასვლელში? ალბათ, ამასაც თავისი სიმბოლური დატვირთვა, განსხვავებული სულიერი შინაარსი აქვს: პირველ რიგში, ეკლესიის ხელშეუხებლობის, სულიერი სიწმინდეების, გაქვავებული სახით მცველად რომ ქცეულან, მეორე, აწესებენ ერთგვარ საზღვარს მიწიერებასთან და მათით იწყება სულიერი ცხოვრება და კიდევ, ეს ნაწილი ერთგვარად ეკლესიის სივრცის ზღუდეა, რომელსაც მტერი ვერ გადაანაცვლებს და არის ერთგვარი ნიშანი, როგორც ჯვარი, რომლის შიგნით სულ სხვა, „ხელშეუხებელი სამყაროა“ განთავსებული, „ზენა სამყარო“, ღმერთთან სიახლოვის გამომხატველი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ, სწორედ, ქვაბიჯვარის, ვალისონის და სხვა მისი მსგავსი ნაეკლესიარების მეშვეობით ცხადდება ყველაზე მეტად ზენა სოფელი და სტრატეგიულად მხარის გამორჩეულობა.

დღეს ნასოფლარ ქვაბიჯვარში, ძველი ეკლესიის გვერდით შენდება ახალი ეკლესიაც კელიები და სხვადასხვა სათავსოები, თითქმის დასრულებულია და ეკლესია მუდმივმოქმედი იქნება. აქ მუდმივად ცხოვრობენ ეკლესიის მსახურები (სურათი 3).

ქვაბიჯვარის ეკლესიის აღმშენებლობა, ჩემი აზრით, უკავშირდება წმიდა სერაპიონ ზარზმელის საეკლესიო მოღვაწეობას. ასევე, მისი მოღვაწეობის ფარგლებში ექცევა **ვალისონი**ს უღელტეხილის, ვალისონის ქედის მწვერვალზე (იწოდება ვალისონის მთადაც) ეკლესიის ნაშთი, რომელიც ძალიან მაღალი ბორცვის ქიმზეა აშენებული, ფაქტობრივად, ის ზემოდან გადაჰყურებს ქვაბიჯვარის ეკლესიას და მის სანახებს, ასევე ოთხივე მხრიდან აკონტროლებს აქ არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომლებიც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების და მისი სულიერი ძმების სამოღვაწეო დრო-სივრცეში, ქრონოტოპში უნდა განვათავსოთ. ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „... ადგილთა ყოვლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ მიმორა-ვიდოდეს ჭირით და შრომით ადგილთა მათ იწროთა პოვეს ნიშები და სასწაულები უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა...“ (ზარზმელი, 1946, გვ. 88).

ვალისონის ეკლესიის მდებარეობა განსხვავებულია. ორი მხრივ _ ჩრდილოეთიდან და ნაწილობრივ აღმოსავლეთიდან მიუვალია, გზა გადის ეკლესიის საკურთხევლის (სურათი 4, 5) მხრიდან, ყველაზე შემაღლებული ადგილის ძირას, სამხრეთ-დასავლეთი ნაწილიდან უნდა შემოუარო ეკლესიას და ისე უნდა მიხვიდე ეკლესიის ადგილთან; ადიგენიდან სოფ. დერცლისკენ მიმავალი გზიდან, ზემოთ, მარცხნივ მაღალ ბორცვზე შევდივართ, შემოუვლით კიდევ მარცხნივ და მერე მარჯვნივ აღმოსავლეთისაკენ არის ნაეკლესიარი; ნაეკლესიარი ადგილითურთ იდუმალად არის განთავსებული (ნაეკლესიარი გზიდან სულ რამდენიმე მეტრშია, დაახლოებით 20-25 მ.), საკმაოდ დაცული, ტყის სიღრმეში. არქიტექტურულად

შერეული ტიპისაა: საკურთხეველი ნაწილობრივ ბრტყელი თლილი ქვითაა ნაშენი, მეტად კუთხედი ფორმთ დამუშავებული ქვით, როგორც ქვაბიჯვარის ეკლესია; მისი მდებარეობა გვავარაუდებინებს, რომ უფრო მღვიმის, პატარა იდუმალი გამოქვაბულის შთაბეჭდილებას სტოვებს, სადაც მტრისაგან უფრო დაცულად და უსაფრთხოდ განმარტოვდებოდნენ ღმერთთან და საკუთარ თავთან. აქვე უნდა შევნიშნო, რომ, ჩემი დაკვირვებით, ეს ნაეკლესიარი, თავდაპირველადვე, მთის სიღრმეში იქნებოდა გამოკვეთილი; ასევე, შესაძლებელია, ცალკეულ ბერთა საცხოვრებელიც იქნებოდა აქვე, მაგრამ კვალი წაშლილია, რასაც მხოლოდ ცალკეული ქვების ნაშთები გვავარაუდებინებს ნაეკლესიარის სიახლოვეს; აგრეთვე, მიმაჩნია, რომ ვალისონის ეკლესია შესვენებულთა სალოცავი და თან თავშესაფარი იქნებოდა, რის თქმის შესაძლებლობას მაძლევს მისი სტრუქტურა და ადგილმდებარეობა, დაფუძნებული შუა გზა-გასაყარზე, როგორც სოფლებს _ დერცელსა და კიკიბოს შორის, ასევე გეოპოლიტიკურადაც, კერძოდ, ადიგენისაკენ მიმავალ და აჭარა-თურქეთისაკენ გადამავალ გზებს შორის.

სტრუქტურით და გეოგრაფიული მდებარეობით ვალისონის ნაეკლესიარი მიემსგავსება ადიგენის სოფელ არზნეს[3] შესასვლელში არსებულ ძველ ნაეკლესიარსაც, რომელიც ასევე ზღვარგამყოფად გვესახება ადიგენსა და ფერსათის მთებისაკენ მიმავალ გზებს შორის, ფერსათის მთებიდან კი გადადიხარ შორი გზით აჭარა-თურქეთისაკენ. ჩემი აზრით, სახელწოდება გვიან, ოსმალთა ბატონობის დროინდელი უნდა იყოს, რადგან ოსმალური მართვა-გამგეობა მიზნად ისახავდა გარკვეულ საგადასახადო სისტემას, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იხსენიებს ამ სოფლის სახელწოდებას და „დავთრის“ მიხედვითაც ცნობილია, რომ „ყოველ სოფელს თავისი გარკვეული გადასახადები, ვალი ჰქონდა დაკისრებული“ (ჯიქია, 1958). აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია სახელწოდების „ვალისონი“ განმარტებაც: „ვალი (თანანადები) _ „ფულადი ვალი, რომელიც უნდა დაიფაროს: ის წარმოიშობა გადახდის დაგვიანებისას, როგორც, მაგალითად, მევალეებზე იგავში. მათ. 23, ან სიღარიბის მიზეზით, როგორც დაბრუნებულ იუდეველებთან. ნემ. 5, 3, ან როგორც შედეგი მიყენებული მატერიალური ზარალისა“. ფილიმ. 18; „ვალი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადახდილი“ (რომ. 13, 78); „ცოდვის თანანადები შედეგია ღმრთის ან კაცთა მიმართ რაიმე ვალდებულების დარღვევის ან დაუდევრად შესრულებისა, რისთვისაც გათვალისწინებულია საზღაური ან სასჯელი“; „მოვალედ ყოფნა ნიშნავს რისამე ვალდებულების ქვეშ ყოფნასაც“ (ლუკ. 17, 10; I კორ, 7, 3; რომ. 1, 14; ფილიმ. 19) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000, p. 145). კიდევ ისიც არის აღსანიშნი, რომ ამ სოფლის სახელის მეორე ნაწილი „სონ“ თურქულიდან უნდა მომდინარეობდეს და ნიშნავს დასასრულს, რასაც ამართლებს სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა...

ვალისონის ნაეკლესიარი სტრუქტურით, აღნაგობით, სტილით ქვაბიჯვარის ეკლესიის ანალოგად მოსჩანს, ოღონდ ოდნავ პატარაა, თითქოს კლდეში ნაკვეთს მიემსგავსება, სამნავიანი ბაზილიკაა, მკვეთრად გამოხატული მრგვალი თაღით, აღმოსავლეთი ნაწილი უფრო სიღრმეშია, ვიდრე ქვაბიჯვარის ეკლესიისა. ეს ნაწილი გვავარაუდებინებს, რომ უშუალოდ კლდის სიღრმეშია შეჭრილი, მისი შესასვლელი და გვერდითი თაღები უფრო კარგადაა შემონახული; თუკი ქვაბიჯვარის ნაეკლესიარი დამართ და დავაკებული ადგილის

[3] კვლევა ცალკე იქნება წარმოდგენილი.

შუაში ოდნავ შემაღლებულ ადგილზეა დაფუძნებული, ვალისონის ნაეკლესიარი, პირიქით, ამ მხარის ყველაზე შემაღლებულ ადგილასაა, იგი უშუალოდ გადასცქერის ქვაბიჯვარის ეკლესიას და კიკიბოს ციხესთანაც ამყარებს გარკვეულ კავშირს. აგრეთვე ოთხივე მხრიდან აკონტროლებს და შემოწერს სამცხის მთელს თუ არა, უმეტესწილ ადმინისტრაციულ მხარეებს _ სამცხისა და აჭარა-თურქეთისაკენ მიმავალი მაგისტრალის გზაგასაყარზე მყოფი. თავის მზერის არეალში აქცევს რეგიონის უმეტეს ნაწილს; მის გვერდით, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იკვეთება სამარხებიც, თუმცა ეს ადგილი ხშირი ტყითაა დაფარული და ჭირს გარჩევა. ქვაბიჯვარში კი გამოკვეთილად და თვალსაჩინოდაა დაცული; ვფიქრობ, გეოგრაფიულად ასეთი ადგილების შერჩევა მრავალი ფუნქციის მატარებელია და გამოკვეთს ერთიან მაკავშირებელ დიდ რგოლს, გამოკვეთს დიდ სტრატეგიულ ღირებულებას, რადგან ადრეული ეპოქებიდანვე, ეთნოკულტურული პროცესები მეტად ჭრელია და მარტო ერთი, ვიწრო ფარგლებში მოქცეულ, ადმინისტრაციული ყოფა-ცხოვრებით არ გამოიხატება.

ქვაბიჯვართან ძალიან ახლოს 3 კლმ. მანძილის დაშორებით, გზის ახლოს, ძალიან შემაღლებულ ადგილას, ვალისონის მთაზე, დღესაც არსებობს ვალისონის ნაეკლესიარი, რომელიც ზუსტად ქვაბიჯვარის ნაეკლესიარის ტიპის, ფაქტობრივად, ანალოგია, ისიც თაღიანია. ორივე ნაეკლესიარს, ადმინისტრაციული და გეო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ცენტრალურ მაგისტრალზე მყოფ სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად, როგორიცაა გოდერძის ხევი, თავისი ნასახლარებით და ნაეკლესიარით, აქ ყოფილა და არის დღესაც მიწისქვეშა ოთახები, როგორც არზნეში, უტყისუბნის ნაეკლესიარი, ზარზმა, არზნის ნაეკლესიარი და ნაქალაქარი, აფიეთის ციხეები _ორი ციხე, შეიძლება მეტიც, რომლის ნაშთები დღესაც თვალსაჩინოა, ერთმანეთის გვერდით არსებობს, რომლებიც ერთმანეთთან გვირაბით ყოფილა დაკავშირებული (ამ გვირაბში და სამალავებში ყოფილა გიორგი საკაძეც). გვირაბის კვალი დღეს წაშლილია, აგრეთვე ციხისუბნის ციხეები, რომლებიც დღეს მხოლოდ ნანგრევებია, ზედუბნის ნაეკლესიარი, მოხის ნაეკლესიარი, რომელიც დღეს სადავოა ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, სინამდვილეში, თავდაპირველად რომელი იყო _ ეკლესია თუ მეჩეთი, სამხრეთით ჭეჭლის მცირე ციხე-კოშკი, რომლისაგან დღეს ნანგრევებია. შემდეგ ამ გეოპოლიტიკური მაგისტრალის გაგრძელება და დაგვირგვინებაა გეოგრაფიული მდებარეობით ჯერ ვალისონის და შემდეგ ქვაბიჯვარის ნაეკლესიარი და დერცელ-კიკიბოს შუა ეკლესია, რომელსაც გ. ბოჭორიძე „თავიწყაროს“ ეკლესიას უწოდებს, იქვე ქვაბები, სადაც აღმოჩენილია კედელი, კიკიბოს ციხე-კოშკები, რომელთაგან ერთი თავისი სტრუქტურით განსხვავებულია დანარჩენი იქ არსებული ციხეებისაგან.

<u>ქვაბიჯვარის და ვალისონის ეკლესიის</u> ნაშთები გეოგრაფიულად ისეთ ადგილებზეა დაფუძნებული, რომ მათ გვერდით არის ცენტრალური დამაკავშირებელი გზა სამცხისა, აჭარისა ძირითადად (სოფ. კიკიბოდან აჭარის გზა გადადის მამლის მთაზე), რომლის მეშვეობით ხდება დაკავშირება თურქეთთან, და იმერეთისაკენ ნაწილობრივ; მათ გარშემო არის ძალიან ხშირი და მდიდარი მარადმწვანე ტყე (ფიჭვი, ნაძვი,...) და ფოთლოვანი, ძალიან მდიდარია წყლებით _ ქვაბლიანი, მცირე წყლები, ღაღვის მინერალური წყლები, სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები. აქედან გამომდინარე, ისინი მრავალმხრივი დანიშნულების მატარებელნი არიან: სასულიერო და საერო, დაწინაურებული ადმინისტრაციული და სტრატეგიული ნიშნის მატარებელი.

ქვაბიჯვარი და ვალისონი, ოსმალური წყაროს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ექვემდებარებოდა უდის ნაჰიეს) (ჯიქია, 1941, გვ. 69, 93-94).

დასკვნა: ამდენად, წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების და მისი სულიერი ძმების სამოღვაწეო სივრცეში უნდა განვათავსოთ სამცხეში, კერძოდ ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული ნაეკლესიარები - ქვაბიჯვარისა და ვალისონის, რომლებიც დღეს ნაშთის სახითაა შემორჩენილი, მაგრამ კარგად გვამცნობს მათ გეოგრაფიულ მდებარეობას, აგების სტილს, მათ სულიერ დანიშნულებას, სტრატეგიულ მნიშვნელობას... ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტის გარკვეული მონაცემები გვავარაუდებინებს, რომ მათი დაარსების ისტორია სწორედ სერაპიონ ზარზმელის სულიერ ცხოვრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. წმიდა სერაპიონი როდესაც შემოდის სამცხეში, მას თან ახლავს მისი ძმა იოანე და კიდევ ორი სხვა, რომელთა სახელი არაა ნახსენები ტექსტში. ისინი მიდიან სამცხის სხვადასხვა ადგილას, აკეთებენ ნიშებს, ზოგს ჯვრის სახით, რათა შემოსაზღვრონ და მონიშნონ წმინდა ადგილები. სწორედ ამგვარ ღვაწლთან უნდა გვქონდეს საქმე. X საუკუნის წართველი ჰაგიოგრაფის ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ საუკეთესო წყაროა სამცხის ისტორიული, გეოგრაფიის და ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობის თვალსაზრისით შესწავლისათვის. თვითონ ტექსტის მონაცემები ცხადყოფს, რომ მარტო ზარზმის ეკლესია ვერ იქნებოდა ასეთი დიდი სულიერი მოღვაწის სამოღვაწეო სივრცე, ეს უფრო ვრცელ და დიდ მასშტაბებზე გადის, მოიცავს გეოგრაფიულად და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ დიდ არეალს და ქმნის ერთ მთლიან სულიერ კერას ამ რეგიონში; წმიდა სერაპიონ ზარზმელის და მისი სულიერი თანამოღვაწეების საქმიანობაში ზარზმის მონასტრის გვერდით უნდა მოვაქციოთ ქვაბიჯვარის და ვალისონის ნაეკლესიარები, რომელნიც დღესაც ამაყად დგანან და გვახსენებენ თავს საკუთარი ისტორიის და უდიდესი სულიერი მისიის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

აღთქმა, ა. (2009). *ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი.* თბილისი: დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით.

ბეთხოშვილი, დ. (2026). *ბასილ ზარზმელის „წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და სამცხე. მონოგრაფია.* თბილისი: გამომემლობა „უნივერსალი“.

ბერძენიშვილი, დ. (1989). *სვეტის თავი ქვაბიჯვრის ეკლესიაში. სამცხე. ქვაბიჯვრის ეკლესია.* თბილისი.

ბიბლიის ლექსიკონი, მ. (2000). *ბიბლიის ლექსიკონი (მასალები(. ტ. I. შემდგენლები ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე, რედ. ზ. სარჯველაძე.* Printed in the Nederlands.

ზარზმელი, ბ. (1946). *„ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“. წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია.შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ.* თბილისი.

ჯაბუა, ნ. (2009). *სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში.* თბილისი.

ჯიქია, ს. (1941). *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ტ. II. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ.* თბილისი.

ჯიქია, ს. (1958). *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ტ. III. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ.* თბილისი.

REFERENCES

akhali aghtkumaω, uplisa chuenisa ieso krist'esi. [The New Testament of the Lord Jesus Christ]. (2009). It was printed with the blessing of His Holiness the Catholicos-Patriarch of All Georgia. Tbilisi: Patriarchate of Georgia. Alilo.

Basil Zarzmeli (1946). tskhovrebaω da mokalakobaω ghmert-shemosilisa net'arisa mamisaisa chuenisaω serap'ionisi“. ["The Life and Citizenship of the God-Dressed Blessed Father Serapion"].In the book: Chrestomathy of Old Georgian Literature. Compiled by Sol. Kubaneishvili. Vol. I. Tbilisi.

Betkhoshvili, D. (2026). basil zarzmelis „ts'mida serap'ion zarzmelis tskhovreba“ da samtskhe. [Basil Zarzmeli's "The Life of Saint Serapion Zarzmeli" and Samtskhe. Manuscript (monograph). 358 pages]. Ready for publication. Tbilisi. Publishing House "Universal".

Berdzenishvili D. (1989). svet'is tavi kvabijvris ek'lesiashi. [Column head in the Kvabijvari Church]. Samtskhe. Kvabijvari Church. Tbilisi.

bibliis leksik'oni. (masalebi). [Dictionary of the Bible (materials)]. (2000). I. Compilers e. Gyunashvili, Z. Kalandadze. Ed., Z. Sarjveladze. Tbilisi.

Jabua N. (2009). samnaviani bazilik'is arkit'ekt'uruli t'ip'i sakartveloshi. [Architectural type of three-nave basilica in Georgia]. Tbilisi.

Jikia S. (1941). gurjist'anis vilaietis didi davtari. [The Great Book of the Province of Gurjistan]. Vol. II. The Turkish text was published, translated, researched and commented by Sergi Jikia. Tbilisi.

Jikia S. (1958). gurjist'anis vilaietis didi davtari. [The Great Book of the Province of Gurjistan]. Vol. III. The Turkish text was published, translated, researched and commented by Sergi Jikia. Tbilisi.

სურათი 1. ქვაბიჯვარის ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი, საკურთხეველი, რომელიც შედარებით შემორჩენილია:



ვალისონის ნაეკლესიარი, კარგად არის შემორჩენილი აღმოსავლეთი კედელი, საკურთხეველი, რომელიც მომგვალო, თაღის მსგავსია, აგრეთვე ნათლად ჩანს ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის ნაწილი, დაახლ. 1, 50 მ. და დასავლეთის კედლის ნაწილი. სამხრეთ-დასავლეთის კედლის ნაწილი მორღვეულია.

სურათი 4. ვალისონის ნაეკლესიარის საკურთხეველი (ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი):

სურათი 2. ქვაბიჯვარის ნაეკლესიარის შიგნითა სივრცეში ვაწარმოებ კვლევას; მთავარი ეკლესიის ნაშთის გვერდით მცირე სამლოცველო:



სურათი 3. ქვაბიჯვარის ახალი ეკლესია

სურათი 5. ვალისონის ნაეკლესიარის აღმოსავლეთი საკურთხეველი, შიგნით ვდგავარ და ვიკვლევ ნაეკლესიარის შიდა სტრუქტურას...